ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N 2

2022 წლის 22 თებერვალი, 10:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი - სხდომის (საბჭოს) **თავმჯდომარე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ვარდოსანიძე - საბჭოს **თავმჯდომარის მოადგილე** , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

გურამ ოქროპირიძე - საბჭოს **მდივანი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

სოფიო ჯაფარიძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ანა კაკაბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ოთარ გრიგოლია - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო " თავმჯდომარე;

ნინელი ფუტკარაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი;

მარიამ ზაქარიაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ;

ანა გოგოლაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე რატიშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ელენე დუმბაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

ვლადიმერ ბოჟაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ვახტანგ სურგულაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

სალომე კობალაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

თათია ჩახვაშვილი - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ელეონორა კაპანაძე - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ჩიკვილაძე;**
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და სკრინინგის ცნობიერების გაზრდისთვის საინფორმაციო კამპანიის დაწყება.

სხდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** მისასალმებელი სიტყვით გახსნა, დამსწრეებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მან საინფორმაციო კამპანიის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსახლეობამ დიაგნოსტიკა უფასოდ ჩაიტაროს და მკურნალობის ინდივიდუალური პროცედურები დაგეგმონ. მისი თქმით, თანმიმდევრული და სტრატეგიული კამპანიით დაგვიანებული დიაგნოსტიკის შემთხვევები საბოლოოდ შემცირდება. კიბოს დროული დიაგნოსტიკისა და პრევენციის შემთხვევაში კი თანამოქალაქეების სიცოცხლის გადარჩენა იქნება შესაძლებელი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზურაბ ჩიკვილაძემ,** ძუძუს კიბოს სკრინიგ-პროგრამის მთავარ მიზანზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მედიკამენტების დაფინანსების განხორციელება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლიდან დაიწყო. მუნიციპალური მხარდაჭერით, პაციენტთა გამოჯანმრთელების კოეფიციენტი ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სხდომა დისკუსიის ფორმატში წარიმართა. საბჭოს წევრები ერთხმად შეთანხმდენენ ღონისძიებების აქტიურ რეჟიმში დაგეგმვასა და კამპანიის დაწყებაზე, რაც ხელს შეუწყობს მოსახელობის ცნობიერების გაზრდას.

სხდომის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას დისკუსიის, ნაყოფიერი სამუშაო დღისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე